საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. რევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. სტრიქონი
4 „ 15 „ „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 603 სამშაბათი, ოქტომბრის 23 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000

გ. მუშიშვილი

## სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი

მოკლე ხანში გამოვა.

## დღიური

— საქსონიაში თავს უყრიან მთავრობის ჯარებს.
— ბავარიასა და ბერლინს შორის კონფლიქტი გამწვავდა.
— საქსონიისა და ბავარიის მთავრობებმა გაიწვიეს თავ-თავისი წარმომადგენლები. დიპლომატიური ურთიერთობა მათ შორის შესწყდა,
— პოზნანში დაიწყო სოფლის მუშათა გაფიცვა.
— ოქტომბრის 21-ს დაიხურა საკავშირო გამოფენა.
— რეინის ოლქი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

## რევოლიუციონურ რიგების შემჭიდროებისაკენ

საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრება დღეს აშკარას ხდის იმ დებულებას, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მებრძოლი ძალები ორ გარკვეულ ბანაკადაა გაყოფილი და დიამეტრალურად ერთმანეთის წინაამდეგ დაპირისპირებული. ევროპის კონტინენტზე გაფართოვებული რეაქცია, ბურჟუაზიის შემოტევა ფაშიზმის სახით ერთხელ და საბოლოოდ ადასტურებს იმპერიალისტურ სულისკვეთებით გაჟღენთილ წრეების ერთ მთლიან სხეულში ჩამოყალიბებას. ბურჟუაზიულ ქვეყნების სინამდვილეში ჩვენ ვამჩნევთ სხვა და სხვა ინტერესებისა და მიზნებისათვის მებრძოლ მოწინააღმდეგე კლასების გარკვეულ მიმართულებით დარაზმვას, საბოლაო ომისათვის მომზადებულ რიგების შემჭიდროებას. ფაშიზმი ბურჟუაზიის პოლიტიკურ დიქტატურის ფილოსოფიაა, იგი ამავე დროს ისეთი რეაქციონური მიმდინარეობაა, რომელიც სხვა და სხვა ყაიდაზე განწყობილ ბურჟუაზიულ წრეებს თავს უყრის ერთ კალაპოტში, ერთ მთლიან პოლიტიკურ ორგანიზმში. ამიტომ ფაშიზმის გამარჯვება და წინმსვლელობა ბურჟუაზიულ ფრონტის გაერთიანებით აიხსნება უმთავრესად.

მეორე მხრით, ანალოგიურ მოვლენებს აქვს ადგილი სოციალისტურ და რეფორმისტულ მიმდინარეობათა შორის. წვრილ ოპორტიუნისტული პარტიები ერთ მწკრივში ირაზმება, ერთ გზაზე სდგება. ხდება პარტიების კონსოლიდაცია ძირითად ინტერესების ნიადაგზე. ამის უტყუარი საბუთები ჩვენ უკვე დიდი ხანია ხელთა გვაქვს. ერთი დიდი მოვლენა პოლიტიკურს ცხოვრებაში—მეორე და ვენის ინტერნაციონალების გაერთიანება საკმაო სიცხადით ნათელს ჰყოფს იმ გარემოებას, რომ საშუალო ხაზების, დამოუკიდებელი გზების ძიების დრო წავიდა სამუდამოდ. ან ბანაკი რევოლიუციის, ან ბანაკი რეაქციის. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შუა დგომა შეუძლებელია.

ამ რიგად, დღეს საერთაშორისო მასშტაბში ხდება მებრძოლ ძალების დარაზმვა ერთ მთლიან ფრონტზე. ირაზმება ბურჟუაზია და ბურჟუაზიული პარტიები მუშათა კლასის, სოციალიზმისა და რევოლიუციის საწინააღმდეგოდ. თავის მხრივ პროლეტარული ფენები, რევოლიუციონური ელემენტები თავს იყრიან ერთ წითელ დროშის ქვეშ, ახდენენ ძალების მობილიზაციას, ძალების გაერთიანებას, შედუღებას. მუსოლინიზმი და ლენინიზმი—აი ის ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც გადაშლილია მთელი ქვეყნის კონტინენტზე და რაზმავს რიგებს მსოფლიო მასშტაბით.

თანამედროვე პოლიტიკური მომენტი მეტად რთულია და მწვავე. ჩვენთვის, რევოლიუციონერებისათვის ყოველთვის აშკარა იყო ის გარემოება, რომ ორ მოწინააღმდეგე მსოფლიოს შუა არსებული ჭიდილი ან რეაქციის გამარჯვებით უნდა დასრულდეს, ან რევოლიუციის დროშით აფრიალებით დაგვირგვინდეს. უკანასკნელ ორიოდე წლის განმავლობაში შეიარაღებული ბრძოლა დიპლომატიურ ჭიდილით შეიცვალა. როგორც რევოლიუციონური ისე რეაქციონური ბანაკი დაადგა კაპიტულიაციის, დათმობის, შერიგების გზას. განვლილი ხანა კაპიტულიაციის ხანაა. ბურჟუაზიული ქვეყანა სცდილობდა „მშვიდობიანი მოლაპარაკებით“ იმის რეალიზაციას, რაც უნდა განადგებული ყოფილიყო იარაღის, აქტიური შეტაკების საშუალებით. მაგრამ განვლილმა მაგალითებმა დაარწმუნა ორივე მოწინააღმდეგე მხარე მშვიდობიანობასა და „ხალხთა შორის სათნოების“ დამყარების შეუძლებლობაში არსებულ სოციალ-პოლიტიკურ და ძალთაგანწყობილ პირობებში. ამიტომ აქ ჟამად ძირ-ბუდიანად შეიცვალა „პოლიტიკური სტატიკა“. იწყება პერიოდი თავგანწირული, გადამწყვეტი ბრძოლების. ბურჟუაზიული ევროპა პრაქტიკულ ღონისძიების ნიადაგს ადგას. იგი ახდენს მილიტარისტულ და იმპერიალისტურ ენერგიის მობილიზაციას. გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა, საფრანგეთის პოლიტიკა რურის საკითხში, საერთაშორისო ფაშიზმის ზრდა-განვითარება, ომისათვის სამზადისი და სხვა უამრავი ფაქტები ნათელს ჰყოფს „დიდი კატასტროფის ეპოქის“ მოახლოვებას ბურჟუაზია გუშინ პაციფიზმის კილოზე ლაღადებდა. დღეს კი—ტყვიისფრქვეველების და ზარბაზნების ენაზე ალაპარაკდა.

საბჭოთა სოციალისტურ კავშირის წინაშე ახალი პერსპექტივები, აუცილებელი ბრძოლის ასპარეზი იშლება. ევროპა დღეს უკვე ვერ ითმენს საბჭოთა დიპლომატიას. ბურჟუაზიული მსოფლიო ემზადება საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების თავისუფლების დამხობისათვის.

როგორი გზა იშლება რევოლიუციონურ ფრონტზე მებრძოლ პარტიების წინაშე თანამედროვე გართულებულ და საბედისწერო მომენტში? უეჭველად ერთი: მებრძოლ ძალების მჭიდროდ გაერთიანების, რიგების ერთ დროშის ქვეშ დარაზმვის, ერთ ბრძოლის ხაზზე ჩამწკრივების. ის, ვინც სოციალიზმის მხარეზეა, საერთაშორისო რევოლიუციის იდეასთან ორგანიულადაა დაკავშირებული და არა ხელოვნურად, უყოყმანოდ ჩადგება აქტიურად მებრძოლ რევოლიუციონურ ძალების მწკრივებში.

რეაქციონური ბანაკი ახდენს რაზმების მობილიზაციას. რევოლიუციონურ ბანაკშიც უნდა მოხდეს ანალოგიური მოვლენა. პროლეტარულ რევოლიუციის, მშრომელთა კლასის დიქტატურის რიგებში შეუძლებელია არსებობა განკერძოების, განცალკევების, იზოლიაციის.

ჩვენი ლოზუნგია: წინ რევოლიუციონური ძალების გაერთიანებისაკენ. ამას მოითხოვს ჩვენგან თანამედროვე რთული მომენტი და საერთაშორისო კომუნისტური რევოლიუციის ინტერესი.

## პრესა

### მდგომარეობა პოლონეთში

მოსკოვის გაზეთი „პრავდა“ მეთაურ წერილში „ხანმოკლე ზეიმი“ სწერს: „ჯერ კიდევ ამასწინათ პოლონეთის მემამულეებს და ბურჟუაზიას პოლონეთის მდგომარეობა ბრწყინვალედ მიაჩნდათ. გაისმოდა სეიმის ბრძოლის ცეცხლით ანთებული სიტყვები აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ. აშკარათ იმუშავებდენ ახალი დაპყრობის გეგმებს.

გერმანიაში შესაძლებელ პროლეტარულ რევოლიუციის პირველ ნიშნებისთანავე, პოლონეთმა მტაცებლური თვალით დაუწყო ცქერა აღმოსავლეთ პრუსიას. მძიმე ეკონომიურმა კრიზისმა უნდა აიძულოს პოლონეთის ბურჟუაზიის ყველა საქმიანი და სალათ მოაზროვნე ელემენტები პირველ ყოვლისა ფრთხილათ ასწონონ საკითხი თავიანთ დამოკიდებულებულებათა შესახებ ს. ს. რ. კავშირისადმი. პოლონეთის მარკა თავბრუდამხვევი სისწრაფით ეცემა. გაღატაკება და სიმშილი აიძულებენ მუშათა კლასს ემზადოს ბრძოლისათვის. შემჩნეულია მუშათა მასების მეტათ ჩქარი გარევოლიუციონერება, გაფიცვებმა საყოველთაო შეუწყვეტელი ხასიათი მიიღეს. შეკითხვა მისცა რა მთავრობას სიმშილობის შესახებ სეიმროვში—პოლონელმა სოციალისტმა სტანჩიკმა განაცხადა: „მთავრობამ პოლონეთი გადააქცია ალყა შემორტყმულ ციხეთ; ის სურსათის მაგივრათ დამშეულ რაიონებში გზავნის ჯარებს და პოლიციას“.

მუშათა მასების მოთმინების ფიალა აივსო. მთავრობა, რომელმაც პატრიოტული მოსახლეობა მიიყვანა იქამდის, რომ ის გადადის კომუნისტების ბანაკში, უნდა გადადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კომუნიზმით „მოწამლავს“ მთელ სახელმწიფოს. უკანასკნელის განსაკუთრებით ეშინია წვრილ ბურჟუაზიულ პრესას, ამ მუქარის წინააღმდეგ პოლონეთის მმართველ წრეებს აქვთ მხოლოდ მათრახი და ტყვია. სავაჭრო სამრეწველო გაზეთიც კი აღიარებს, რომ ყველა ცდები, რომელნიც მიმართულნი იყვენ ფინინსიურ კრიზისის გადასალახავად, უშედეგოთ გათავდა. პოლონელებს აღარავის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. აი, რატომ უნდა დაუგდოს ყური პოლონეთმა ს. ს. რ. კ. მეგობრულ წინადადებებს.

საკითხი ს. ს. რ. კ. ცნობის შესახებ დაუბრკოლებლივ უნდა იქნეს გადაწყვეტილი. უნდა დამყარდეს უფრო ნორმალური, თანასწორი სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება ორივე მეზობელ სახელმწიფოებს შორის“.

## რადიო-ცნობები

### „ზაკროსტას ცნობები“ 21 და 22 ოქტომბ.

### გერმანიის ამბები

ბავარიის მთავრობის გაზეთის ცნობით, ბავარიის მთავრობამ დაიჭირა საქსონიის წარმომადგენელის შენობა მიუნხენში. საქსონიის შეკითხვაზედ ბავარიის მთავრობამ უპასუხა, რომ რომ ის არ მიიღებს საქსონიის ახალ წარმომადგენელს, ვიდრე იქ მთავრობაში იქნებიან კომუნისტები.

ცნობაა აგრედვე, რომ ბავარიის მთავრობამ გაიწვია საქსონიიდან თავისი წარმომადგენელი ფონ პრეგერი.

სამუშაო დღის გამოსარკვევად დანიშნულ ექსპერტთა კომისიის სხდომები დაასრულდა. ირწმუნებიან, რომ მრეწველობის ყველა დარგებში, გარდა სამთამადნო მრეწველობისა, სამუშაო დღე აყვანილი იქნება 9 და 10 საათამდე.

საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ რეინის რკ. გზების სახელოსნოები იჯარით გადასცეს საფრანგეთისა და ბელგიის ფირმებს. სახელოსნოების მუშებს, რომლებმაც განაცხადეს სურვილი მუშაობისა, ოკუპანტებმა უპასუხეს, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული ძველი მუშების მიღებაშიო.

საფიქრებელია, რომ სახელოსნოებში გაგზავნიან ფრანგ და ბელგიელ მუშებს.

ბერლინში ელიან მუსოლინის მხრით ახალი ნაბიჯების გადადგმას საკონტრიბუციო საკითხში. ეს მოლოდინი დაკავშირებულია იტალეთის მთავრობის გამოქვეყნებულ ნოტასთან, რომელშიაც იგი პრინციპიალურად ეთანხმება ბელგიის პროექტს.

ბერლინში გამოქვეყნებულ ნახევრად ოფიციალურ ცნობებით საქსონიაში თავს უყრიან რეიხსვერს. რეიხსვერი იჭერს ხემნიცსა და პლაუენს, სადაც აქამდის ის არ იყო.

დრეზდენიდან ბერლინში მიღებულ ცნობით, საქსონიის პრემიერის და გენ. მიულერის მოლაპარაკების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა. ცეიგნერისადმი მიმართულ წერილში მიულერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას არ სურს, „პრესტიჟის პოლიტიკის“ წარმოება.

ბავარიასა და გერმანიის ცენტრალურ მთავრობას შორის კონფლიქტი უცბად გამწვავდა. გერმანიის მთავრობა მოითხოვს ბავარიის რეიხსვერის სარდლის გენ. ლოსოვის უკან გაწვევას. ხოლო ბავარიის მთავრობა უარს ამბობს ამ მოთხოვნაზედ და თავისი მხრით მოითხოვს გესლერის გადადგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში უარს გესლერსა და რეიხსვერის მთავარ სახელის, ფონ-სექტთან ურთიერთობაზედ.

რომიდან მოსულ ცნობით, ბავარიის მთავრობის მიერ საქსონიიდან თავის წარმომადგენლების გაწვევის საპასუხოდ, საქსონიის მთავრობამ თავის მხრით გაიწვია ბავარიიდან თავისი წარმომადგენლები.

ბავარიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ სცნობს საქსონიის მთავრობის, რომელშიაც შედიან კომუნისტები.

დიპლომატიური ურთიერთობა მათ შორის შეწყვეტილია.

გენერალმა მიულერმა განაცხადა, რომ მიიღებს ზომებს საქსონიაში სურსათის მიწოდების გასაადვილებლად, ხოლო აღნიშნა, რომ თუ კიდევ განმეორდა სურსათის რეკვიზიცია საკანტროლო კომისიების მიერ, მათ წინააღმდეგ მიმართული იქნება სამხედრო ძალა.

თავისუფალ პროფკავშირების ბერლინის ორგანიზაციციებმა მიიღეს დაადგენილება, გამოაცხადონ დაუყოვნებლივ საერთო გაფიცვა, თუ მთავრობა გამოვა საქსონისა და ტიურინგიის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია მიღებულია 1500 ხმის უმრავლესობით 50 წინააღმდეგ.

კომპარტიის ბერლინის კომიტეტმა წინადადება მისცა პროფკავშირებს განაახლოს მოლაპარაკება მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

ფინანსიური კრიზისის გამო პროფკავშირები მეტად ამცირებენ შტატებს.

კელნის კორესპოდენტი აცნობებს ლონდონის გაზეთ „დეილი მეილს“, რომ 21 ოქტომბერს ვახენში (რეინის ოლქი) რეინის სეპარატისტების შეიარაღებულმა რაზმებმა დაიჭირეს მუნიციპალიტეტი, ფოსტა, ტელეგრაფი, საპოლიციო სამმართველო და სხვა დაწესებულებანი. ამასთანავე ერთად ყველგან გააკრეს განცხადებანი რეინის ოლქის რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესაებ. ამავე განცხადებაში აცნობებდნენ ყველას, რომ ყოველივე წინააღმდეგობა და უწესოება იარაღით იქნებოდა მოსპობილი. პოლიციის ნაწილი, რომელიც არ მიემხრო სეპარატისტებს განაიარაღეს. ქალაქში დადიან ხელის ყუმბარებით შეიარაღებული სეპარატისტთა რაზმები. მეთაურები დორტენი და მატტესი ჯერ არ ჩამოსულან ვახენში. ფიქრობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სეპარატისტები დაიჭერენ რეინის ოლქის სხვა ქალაქებსაც. იმავე გაზეთს პარიზის კორესპონდენტი აცნობებს, რომ სეპარატისტები ბელგიის ზონით მიიმართებიან ბრიტანეთის ზონისაკენ.

ბელგიის უმაღლესმა კომისარმა აცნობა სეპარატისტებს, რომ იგი გადატრიალებას სთვლის მომხდარ ფაქტად და ამისათვის ბელგიელები დაიცავენ ნეიტრალობას, ხოლო პასუხისმგებლობას წესრიგის დაცვაში აკისრებს სეპარატისტებს.

დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობებით. გადატრიალება ფრანგების მოწყობილია. მდგომარეობა სერიოზულია.

პარიზის ცნობით, გერმანიის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს სეპარატისტებთან, რათა ამით ხელი შეუშალოს აახენში დაწყებულ მოძრაობის გავრცელებას.

რეინის ოლქის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების პროკლამაციას ხელს აწერენ დეკერსი და ფონ-გრიუმბახი, რომლებიც არ ეკუთვნიან ცნობილ მატტესის ჯგუფს.

პარიზიდან მიღებულ ცნობით, ოტტო ვოლფის კონცერნმა ხელი-მოაწერა საფრანგეთთან, შეთანხმებას კონტრიბუციის ანგარიშში მოკავშირეთათვის ნახშირის მუქთად მიწოდების შესახებ. ხვალ სტინესის ჯგუფი განაგრძობს მოლაპარაკებას ამავე თარიზედ. მოლაპარაკების დაწყების სურვილი გამოსთქვა აგრეთვე გარპნერის ჯგუფმა.

**„თუ გსურს ზავი — მზათ იყავ ბრძოლისათვის“**

მოსკოვის „იზვესტიაში“ ამხ. ვინენსკი ამ სათაურით სწერს:

„მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი სრულიად კანონიერად გმობდნენ ჩვენი მეომარი მეზობლების ცალკე გამოსვლებს, — საბჭოთა მთავრობა მაინც რჩებოდა და, ალბად, კიდევაც დარჩება მშვიდობიანობის პოლიტიკის პოზიციაზედ. ჩვენ არ გვაქვს მიზნად ჩავერივნეთ დასავლეთ-ევროპის ცხოვრებაში. ჩვენ ვადგევართ იმ თვალსაზრისს, რომ, თუ გერმანიაში მოხდება რევოლიუცია, მისი გამარჯვება დამოკიდებული იქნება შინაგან ძალთა განწყობილებაზედ. იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, გერმანიის მუშათა კლასი საკმარისად ძლიერია, რომ ფაშიზმთან ბრძოლაში მასა ჰხვდეს გამარჯვება.

საბჭოთა რუსეთის მშრომლებისათვის მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენს გერმანიში წარმოებულ სამოქალაქო ომის შედეგები. თუ გერმანიაში გაიმარჯვა რევოლიუციამ, მთელი კაპიტალისტური ევროპა მედგრად შეებრძოლება მას. და ვინ იცის: იქნება გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიქცეს ახალ საერთაშორისო სასაკლაოდ. თუ ბრძოლა მუშათა კლასის დამარცხებით დამთავრდა, მაშინ ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ გამარჯვებულ რეაქციის ხიშტი პირველ საბჭოთა რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ არ მობრუნდება.

პოლონეთის მერყეობა ს. ს. რ. კ. ცნობის საკითხში არ გვაძლევს საშუალ ვიფიქროთ, რომ ჩვენი მეზობელი დაიცავს მშვიდობიანობას ჩვენს დასავლეთ საზღვრებზედ. პირიქით, უფრო საწინააღმდეგოს უნდა ველოდდეთ. ამ მერყეობასა და ამას წინად დადებულ პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულებაში ჩვენ არ შეგვიძლიან არა ვგრძნობდეთ ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკისადმი მუქარას.

ყოველივე ეს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთ აიძულებს ფრთხილად იყოს. ჩვენ განვაგრძნობთ მშვიდობიან მუშაობას, მაგრამ ამასთანავე მზად უნდა ვიყოთ მოვიგერიოთ ახალი შეტევა. უმთავრესი ამოცანა — ჩვენი სამეურნეო ფრონტის გამაგრება არის. ამ ფრონტზედ წარმატებისაგან დამოკიდებულია ს. ს. რ. კ. ძლიერება, რომელიც საწინდარია საბჭოთა ქვეყნის და მთელი ევროპის მშრომელთა მშვიდობიანობისა“.

## უცხოეთი

**ვარშავა** (პოლონეთი) ვარშავაში მომხდარ აფეთქებით გამოწვეულ მთავრობის კრიტიკის გამო, სამხედრო მინისტრი შეპტიცკი გადადგა, ცნობებია, რომ გადადგომა არ იქნება მიღებული.

**ვარშავა.** პოზნანის სხვა და სხვა ადგილებში იფეთქა სასოფლო მეურნეობის მუშათა გაფიცვამ, რომელიც დაიწყო პროფკავშირთა მეთაურების დაუდასტურებლად.

**ვარშავა.** „რობოტნიკის“ ცნობით დომბროვის რაიონში გაფიცვა გრძელდება. მუშათა შორის დიდი მღელვარებაა. გაფიცულ მუშათა მიტინგებისა და კრებების აკრძალვის გამო. გაზეთის აზრით გაფიცვა შეიძლება ხელმეორედ გადავიდეს ზემო-სილეზიაში, სადაც მუშებში უკმაყოფილებაა გაფიცვის შედეგების გამო. სილეზიაში მთავრობა ახდენს დაპატიმრებას, რათა ამით მუშათა მოძრაობას ჩამოაშოროს მეთაურთ.

**ჰელსინფორსი.** (ფინეთი). ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს სეიმის დათხოვნას და წინადადებას იძლევა შეიქმნას ყველა ბურჟუაზიულ პარტიების კოალიცია კომუნიზმთან საბრძოლველად. გაზეთი „ფინეთის სოციალ-დემოკრატი“, თავის მხრით, მოუწოდებს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას, წამოაყენოს სეიმის დათხოვნის ლოზუნგი, პარლამენტარულ მუშათა მთავრობის დაარსების მიზნით.

**ტოკიო.** (იაპონია). გაიხსნა იაპონიის ყველა მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია. შრომის ფედერაციამ წინადადება შეიტანა შეიქმნას მთლიანი ფრონტი პროლეტარიატის ინტერესთა დასაცავად.

**ნიუ-იორკი.** დაარსდა რუსეთ ინგლისის საზოგადოება რუსეთის პურის საზღვარ გარედ გასატანად, რამაც ჩიკაგოს ბირჟაზედ პურის ფასის დაცემა გამოიწვია.

### საბჭოთა რესპუბლიკებში.

**მოსკოვი.** 21 ოქტომბერს დიდის ზეიმით დაიხურა საკავშირო გამოფენა.

საბჭოთა რესპუბლიკების სხვა და სხვა კუთხეებში და ქალაქებში გაიტანეს რეზოლიუციები გერმანიის მშრომელთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

### პრესის მიმოხილვა

**„სოციალ-დემოკრატიული სულთანხუთ-ვები“.**

ამ სათაურით მოსკოვის „პრავდა“ მეთაურ წერილში სწერს:

„საქსონიაში განხორციელდა მთლიანი ფრონტი. კომუნისტურმა პარტიამ გაგზავნა თავის წარმომადგენლები მთავრობაში, რათა სახელმწიფოებრივი აპარატი გამოეყენებინა პროლეტარიატის რეალურ ძალათა ფაბკომებისა, მებრძოლ რაზმებისა და სხვა კლასიურ ორგანიზაციების მოსაწყობად. ეს არის მუშათა კლასის დღიური ამოცანა.

პროლეტარიატის რეალურ ძალებისა ყველაზე მეტად ეშინიან გერმანიის ბურჟუაზიას: მას ესმის, რომ საქმეს კლასის რეალური ძალა, და, პირველ რიგში, შეიარაღებული ძალა, სწყვეტს.

კომუნისტების უმთავრესი მიზანი — პროლეტარიატის შეიარაღებაა. ბურჟუაზიის უმთავრესი მიზანი კი — პროლეტარიატის განიარაღება. წითელ საქსონიაში გატაცებით იარაღდება პროლეტარიატი, რაც ბურჟუაზიისათვის გალესილ დანას წარმოადგენს.

ეს უნდა ესმოდეთ სოციალისტებსაც, მაგრამ, თურმე, გენერალ მიულერის მიერ საქსონიის მთავრობისათვის ულტიმატუმის წარდგენა მომხდარა სოც.-დემოკრატ ებერტთან შეთანხმებით. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურის ებერტის სახით წარმოდგენილი ბლოკი უკავშირდება სისხლის ძსმელ გენერალს. ებერტი ჯაჭვიდან უშვებს გენერლებს საქსონიის კომუნისტებისა, მუშებისა და თვით მთლიან ფრონტში გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. საიმპერიო მთავრობის თანხმობით შესწყდა პურის მიწოდება საქსონიისათვის.

მენშევიკი ებერტი მიიწევს ყველაზე ნაკლებად... თავს საქსონიის პროლეტარიატის კისერზედ, უკანასკნელ პურის ლუკმას ართმევს მას. მენშევიკი ებერტი და მისი მთავრობა საქსონიაში ჰგზავნიან ჯარს, რომელიც ბორკილებს უმზადებს იქაურ პროლეტარიატს.

სამოქალაქო ომი გერმანიაში უკვე დაიწყო. როგორც ჩვენს რევოლიუციაში ასრულებდნენ საზიზღარ როლს მენშევიკები, ისე ეს, უკაცრაული პასუხია, სოციალისტები გამოდიან მუშათა კლასის სულთამხუთავებად. ისინი სცდილობდნენ... (გამოტოვებულია) ანტანტის მისიებთან ერთად... მოეწყვიტათ მოსკოვი და პიტერი და არ მიეცათ სურსათის მოწოდების საშუალება.

მუშათა კლასის ამოცანაა — თავი მოუყარონ ერთად თავის ძალებს კომპარტიის ხელმძღვანელობით, შექმნას შეიარაღებული ძალა, რომელიც შესძლებს თავი გაუჭეჭყოს გენერალ-მენშევიკთა რეაქციას“.

## ახალი ამბები

— **განათლების მუშაკთა სახლში,** სამშაბათს 23 ოქტომბერს, საღ. 7 საათზე, სამათემატიკო წრის სხდომა, სომხურ ენაზე მომუშავეთათვის. ოთხშაბათს 24 ოქტომბერს საღ. 7 ს. საზოგადო ცხოვრების შესწავლის წრის სომხურ ენაზე. ოთხშაბათს 24 ოქტომბერს, საღ. 5 ხატვის და ხელსაქმას წრეში მომუშავეთა — რუსულ ენაზე. ხუთშაბათს 25 ოქტომბერს საღ. 6 ს. რუსულ, სომხურ და მუსულმანურ სკოლებში ქართული ენის სწავლების წრის საორგანიზაციო კრება. პარასკევს 26 ოქტომბერს საღ. 7 ნახ. საათზე ქართულ სომხურ და მუსულმან სკოლებში რუსულ ენის სწავლების წრის სხდომა პარასკევს 3 ნოემბერს საღ. 7 ს. რუსულ სექციის საბიბლიოგრაფიო წრის სხდომა.

— **ცეცხლის საქრობ მოწყობილებათა შეძენა.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა: ქ. სოხუმში გაგზავნოს ამხ. ზერიძე, რომელსაც ევალება ინგლის რუსეთის სავაჭრო სახლისაგან ცეცხლის საქრობ მოწყობილებათა შეძენა.

— **დახმარება ბანდიტებთან დახოცილ მილიციელ ოჯახებს.** აღმასკომის დადგენილებით დუშეთში ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპულ ტფილისის მილიციის თანამშრომელთა ოჯახებს აღმოუჩენენ ნივთიერ დახმარებას.

— **დარბაზების გამოყენება საცხოვრებელ ბინებათ.** აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა უმაღ. მეურ. საბჭოს საფინანსო განყოფილებასთან ერთად შეადგინოს სია იმ დარბაზებისა, რომელიც არ შეიძლება გაქირავებული იქნეს სავაჭროები და გამოიყენოს ასეთები საცხოვრებელ ბინებათ.

— **კულტურული მზრუნველობა.** კახელ მევენახეთა ამხანაგობა „კავშირთ-კავშირმა“ დაადგინა: მილიციის კულტურული მზრუნველობა სოფელ ორიათ უბანს (თელავის მაზრა).

— **სრულიად საქართველოს სამოქალაქო აღწერის შედეგი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „სრულიად საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1922 წლის აღწერის ჯამები“. გამოცემა ეკუთვნის სტ. ცენტრალურ სამმართველოს.

— **ღვინის ფასების ჩერვონცებზე გადატანა.** კახელ მევენახეთა კავშირ-კავშირის გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს წარმოკავშირს მიიღოს სათანადო ზომები, რომ 15 ნოემბრიდგან ღვინის ფასები გადაიტანოს ჩერვონცებზე.

— **საღამო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.** ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კლუბში, ამ დღეებში გაიმართება, საღამო გერმანეთის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

— **ქართულ მუსიკის კათედრა.** სახელმწიფო კონსერვატორიასთან იხსნება ქართულ მუსიკის კათედრა.

— **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** პროლეტის ტეხნიკუმის ქართული და რუსული სექტორი იმუშავებს ოქტომბრის სადღესასწაულო საღამოს პროგრამას.

— **ვენახების დაზღვევა სეტყვისაგან.** კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირის გამგეობამ დაადგინა ... შეიძინოს ერთი აეროპლანი სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **ცეკავშირის მოქმედება აჭარაში.** გასულ ზაფხულს ცეკავშირმა მოაწყო თავისი განყოფილებები აჭარის შემდეგ ადგილებში. ქედაში, აჭარის წყნლსა და ხულოში.

— **ფართლეულობა მუშებისათვის.** უახლოეს მომავალში ა. კ. მომხმარებელი საზოგადოების კოოპერატიული როსტოვიდგან მიიღებს შეკვეთილ 3 ვაგონ ფართლეულობას. ფართლეულება შეუძლიათ მიიღონ იაფ-ფასებში მუშებმა და პროფ-კავშირის წევრებმა.

## ისტორიული დოკუმენტები

VII. პოლემიკა. დასკვნა *)

„ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკის“ უკანასკნელი 4—5 ფურცელი გაუგებრობას იწვევს. „დასკვნა“ არ გამომდინარეობს ლოღიკურად უდაოდ აღიარებულ წინამძღვართაგან. უცნაური სილოგისტიკაა! აჲეთია ზოგადი შთაბეჭდილება. მისგან არაა თავისუფალი არც ამხ. ი. ბ. მან ორივე ხელი ჩასჭიდა ორიოდე ციტატას (ისიც გადამახინჯებით, შესწორებით) და ამით შეეცადა „ძველი თამასუქების“ სიყალბის გამოაშკარავებას. ობიექტიური, მიუდგომელი კვლევა-ძიება და ისტორიულ დოკუმენტებისადმი სინდისიერად მოპყრობა უსათუოდ მოგვცემს საკითხის სწორად გადაჭრის შესაძლებლობას.

კითხვა პრაქტიკულ ნიადაგზე ისმება. ორიენტაციის ამოცანა აწუხებდა მენშევიკურ საქართველოს. ვის მივემხროთ, მივეკედლოთ: რუსეთს თუ ევროპას? აღმოსავლეთს თუ დასავლეთს? ნოე ჟორდანიამ „უკვდავი“ ფორმულა მოგვცა: ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო.

ინგლისი, გერმანია, ერთა ლიგა, — აი რაზე ოცნებობდნენ დემოკრატიული საქართველოს მესვეურები. დასავლეთ ევროპის ორიენტაცია, ევროპის პროტექტორატი უდაოდ და საბოლაოდ გადაჭრილად მიაჩნდათ. მენშევიკურმა მთავრობამ ამ მიმართულებით გადადგა სათანადო ნაბიჯები. დასავლეთის ორიენტაციის აღიარებას მოითხოვდა არა მარტო მენშევიკური პარტია, არამედ, ყველა ქართული პოლიტიკური ჯგუფები. საზოგადოებრივი აზრი ბურჟუაზიულ ევროპის სასარგებლოდ ღელავდა. აი ასეთ ატმოსფერაში აყენებს კითხვას ამხ. თ. ღლონტი: „რა უნდა ვქნათ ჩვენ, ქართველებმა, ამ მოვლენათა ორომტრიალში? შევუერთდეთ ბოლშევიკურ კოალიციას თუ ანტანტას?“ (გვ. 147) ავტორი კატეგორიულად უარყოფს ანტანტის ორიენტაციას და ჩერდება „ნეიტრალიტეტზე“. რუსულის ღრმა ცოდნა და დიდი ჭკუა-მახვილობა არაა მაინც და მაინც საჭირო გაიგოთ ამხ. თედოს „ნეიტრალიტეტის“ შინაბუნება. „ჩვენი ამოცანები არაა ისეთი ისტორიული და მსოფლიო, როგორიცა ინგლისის და რუსეთის. ჩვენი გზაა — ...ბრძოლა ქვეყნის შიგნით სოციალიზმისათვის და ზავი საგარეო ძალებთან“ (გვ. 154). მოკლეთ — სოციალისტური და რევოლიუციონური საქართველო, რომელსაც კავშირი გაწყვეტილი აქვს ანტანტის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან — აი რა ისახებოდა ამხ. ავტორის ცნობიერებაში. არასოდეს საქართველო „Не допустит, აცხადებს ამხ. ღლონტი, — чтобы к изолированной России она подкралась в тыл и изменически вонзила бы кинжал в спину“ (გვ. 153). აშკარაა, ავტორის შინაგანი არსება რუსეთის სიმპატიით ამოიწურება. აქ ირღვევა „ნეიტრალიტეტი“. „Мы не можем сказать, что берем сторону Запада против Востока. Это было бы обсурдно и легкомысленно.

Мы сами граждане Востока, все наши исторические друзья и соседи — люди Востока, с ними мы жили, живем и будем жить и с ними обязаны сохранить самые дружеские отношения. Мы открыто должны заявить, что мы не стоим ни за восточный, ни за западный империализм. Мы за культуру, цивилизацию, демократию и социализм, все равно, будет ли эта культура с Востока, Запада, Севера или Юга.

...Мы верим в торжество международного пролетариата и все наши симпатии на стороне мировой революции“ (გვ. 153). ვფიქრობ, მკითხველისათვის გასაგებია და მარტივი ამონაწერის აზრი. სოციალისტური რევოლიუციის ქვეყანა რუსეთია, ავტორი კი მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დამცველია. აქ შეუძლებელია ორგვარი თვალსაზრისის მომარჯვება ამხ. თედოს რევოლიუციონურ პოზიციის გაგებაში.

საქართველო არ დარჩება რევოლიუციონურ ბრძოლის გარეშე. იგი ბრძოლით, თავგანწირული მუშაობით დაამსხვრევს მონობის ბორკილებს. წიგნის წინათქმაშივე ავტორი აცხადებს: „отвернемся от губящего душу и тело оппортюнизма и войдем в международную семью народов, как свободная нация, борьбой, самоотверженной работой приобревшая свою свободу“ (გვ. 4). როდის უნდა გამოვიდეს ბრძოლის ველზე საქართველო? იმპერიალისტურ ომებში? რასაკვირველია არა (გვ. 152). „Актуальную, революционную, социалистическую энергию грузинский пролетариат со всей силою должен проявить в процессе мировой революции, когда мы можем и дожны открыто примкнуть к силам революции“ (გვ. 153).

ვფიქრობთ, მოყვანილი ციტატები სრულიად საკმარისია საინტერესო საკითხის გაშუქებისათვის. მკითხველი და თვით ი. ბ-ც, ალბათ დამეთანხმება იმ ბრალდების სიყალბეში, რომ ვითომ ჩვენ „მენშევიკური საქართველოსთვის ბრძოლაში თავს ვსდებდით, ვისთანაც არ უნდა მომხდარიყო ეს ბრძოლა (თუ გინდ ბოლშევიკებთანაც) („კომუნისტი“ № 224). ასეთი დასკვნის მიღება „ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკის“ გულდასმით გადაკითხვისაგან ყოვლად შეუძლებელია. ცნობილი რუსი კომუნისტი ამხ. ნ. მეჩერიაკოვი მიუდგომლად აღნიშნავს „სააზიო პოლიტიკიდან“ ზოგიერთ ადგილების ამოწერის შემდეგ: ამხ. თედო ღლონტი „...уже летом 1920 г. ясно видел всю эфемерность, всю беспочвенность дутого демократизма грузинских меньшевиков и всю губительность политики этих меньшевиков, ориентировавшихся в сторону Западно-европейского империализма“ ქვევით: „Уже в 1920 году (и ранее того) **Т. Глонты видел, что политика Советской России в Закавказии и в Азии не представляет никакой опасности для Грузии, стремящейся обеспечить свои национальные права**“ (იხ. ამხ. მეჩერიაკოვის წინათქმა ამხ. თედოს ბროშურაში: „Меньшевистская и Советская Грузия“ 1923. Москва. ხაზი ჩვენია. გ. შ.). კომენტარიები საჭირო არაა. დეე მკითხველმა განსაჯოს, ვის დაუჯეროთ: ი. ბ-ს, თუ ამხ. მეჩერიაკოვს!

ამ რიგად, „სააზიო პოლიტიკის“ უკანასკნელი ფურცლები არ იძლევა ჩვენი ჯგუფის ანტიბოლშევიკურ სულისკვეთების დასაბუთებას. ამხ. თედოს „ნეიტრალიტეტის“ სასწორი სწორწონობაშია იმპერიალისტურ ომების პროცესში, ხოლო საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში „ნეიტრალიტეტი“ ირღვევა რევოლიუციის სასარგებლოდ შესძლებს საქართველო დამოუკიდებლობის განმტკიცებას საერთაშორისო ძალების შეჯახებაში? აშკარაა, არა, იგი რევოლიუციის ორბიტაში უნდა მოექცეს. «Малому кораблю смешно плавать по океанам» (გვ. 155). ჩვენმა ქვეყანამ უნდა მონახოს ნავთსადგური რევოლიუციის, სოციალიზმის, იქნება იგი ნავთსადგური „აღმოსავლეთში, დასავლეთში, სამხრეთში თუ ჩრდილოეთში“.

„ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკის“ წიგნის ბაზარზე გამოსვლამ მიიქცია ფართო წრეების ყურადღება. მენშევიკები წიგნის ავტორს ბოლშევიკების მიერ მოსყიდულად ნათლავდნენ. „კომუნისტი“ კი, რომელიც იმ ხანებში გამოდიოდა, გვამცნობდა, რომ კომინტერნმა დაავალა ამხ. კ. რადეკის წიგნის ევროპიულ ენებზე გადათარგმნაო. რა თქმა უნდა, საკუთარ შეხედულებების გამოთქმას არ იზარებდნენ სხვა პოლიტიკური მიმართულებანი.

წიგნის გამოსვლით განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა კერძოთ სოც. ფედ. პარტიაში. რუსული ბოლშევიზმის აპოლოგეტიკამ საბრძოლველად გამოიყვანა პარტიის მემარჯვენე ელემენტები. დაიწერა ერთდროულად ორი ბიბლიოგრაფია. ერთი, რომელიც წიგნს აფასებდა უარყოფითად, მეორე — დადებითად. პირველის ავტორი გახლდათ მოქ. ალ. მდივანი, მეორესი ამ სტრიქონების დამწერი. „სახალხო საქმის“ რედაქციამ კატეგორიულად უარყო ჩვენი წერილის დაბეჭვდა,*) ხოლო ალ. მდივნის შეხედულება, ე. ი. შეხედულება პარტიის უმრავლესობის, რედაქციის, — დაიბეჭდა გაზეთის მე-884 № — ში. გავეცნოთ მას.

მოქ. მდივანი და „სახალხოს“ რედაქცია კატეგორიულად არ იზიარებს ამხ. თედოს ძირითად ხასიათის მოსაზრებებს. **„ჩვენ არ შეგვიძლია,** აცხადებს მდივანი, — **გავიზიაროთ ამხ. თ. ღლონტის აზრი რუსეთის რევოლიუციის შესახებ“.** კრიტიკოსი სავსებით პარტიის ოფიციალ თვალსაზრისზე სდგას. მას არ სწამს თანამედროვე ხანაში კაპიტალიზმის ხერხემლის გალუნვის შესაძლებლობა. **„ჩვენ არ შეგვიძლია ამხ. ღლონტთან ერთად ვსთქვათ, რომ „დადგა დრო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისა“,** ე. ი. ობიექტიური და სუბიექტიური პირობები სოციალიზმის განსახორციელებლად უკვე შექმნილია თანამედროვე ისტორიულ მომენტში“. „სააზიო პოლიტიკა“ დაწერილია მარქსისტული თვალსაზრისით, და, როგორც ასეთი, მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას. „სოცი-

*) პროვინციაში გამგზავრებისა გამო წერილის დასრულება დამიგვიანდა.

გ. შ.

*) წერილი ახლაც ინახება „ტრიბუნას“ რედაქციაში. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **შაქრის ჩამოტანა**. 11 სექტემბერს ინგლისიდან გამოვიდა გემი „მედოლარი“ 20,000 ფუთი შაქრით დატვირთული გემი ამ დღეებში ჩამოვა ბათომში.

— **აფთიაქების რიცხვი რესპუბლიკაში**. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობის თანახმად რესპუბლიკის ფარგლებში ამ ჟამად არსებობს—279 აფთიაქი. აქედგან ქალაქებში არის—76 აფთიაქი; ხოლო სოფლებში—20.

— **ქურდობა**. 19 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. ლუშავი პრაზერკირის ბინა, მცხ. კობის ქუჩა № 13-ში. საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული ორ მილიარდ მანეთად.

— 19 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ბინა, საიდგანაც წაღებულია ოქროს საათი თავის ბრასლეტით, ღირებული სამ მილიარდ მან. ეჭვით დაპატიმრებულია დავით ლორთქიფანიძე.

— 19 ოქტ. გაქურდეს მოქ. დავით ლაპკოვის ბინა, წაღებულია ორი სპარსული ხალიჩა.

— **ქარხნის გაქურდვა**. 19 ოქტომბერს გაქურდეს მოქ. ბაგრატ აბრამოვის ქარხანა, საიდანაც წაიღეს ტყავები. ეჭვით დაპატიმრებულია მოქ. ფრიდრიხ შურინი.

**შრომის ბირჟა**. 30 ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—256—უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—114—უმუშევარი; გაიგზავნა სამუშაოზე—67.

— **ვალიუტის კურსი**.

22 ოქტომბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 67,000, | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 60,500, | „ |
| ჩეკი. | 54,500 | „ |
| დოლარი ეფექ. | 13,700 | „ |
| ჩეკი. | 12,800 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,800 | „ |
| საბჭოთა ფული | 12,000 | „ |

# პარტიაში

### პარტ-მუშაობა სენაკის მაზრაში.

ამ უკანასკნელ ოთხ თვის მიმდინარეობაში მაზრის პარტ-ცხოვრებში მოხდა დიდი ცვლილება ჩქარი ევოლიუციონური ტემპით განახლდა პარტ-მუშაობა როგორც მაზრის ცენტრში, ისე პერიფერიებში.

ასეთი გიგანტიური ნაბიჯი პარტ-მუშაობის განახლებისა უნდა მიეწეროს ამხ. გ. **მუშიშვილის** დაუღალავ მოღვაწეობას მაზრაში ორ თვის განმავლობაში.

ამხანაგმა დაათვალიერა მაზრაში არსებული ორგანიზაციები. აღადგინა სწორი და სისტემატიური მუშაობა იქ. სადაც ასეთი არ არსებობდა დაარსა ახალი უჯრედებიც, ახალი ორგანიზაციები, რომლებიც შედგება მხოლოდ და მხოლოდ მიწის მუშებისაგან.

მანამ სუსტი მუშაობა მაზრის ორგანიზაციებისა უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ მათ ხელს არ უწყობდა სამაზრო ორგანო, ამ უკანასკნელს კი ხელს უშლიდა ტეხნიკურად მოუწყობლობა და სხვა ობექტიური პირობებიც.

ამხ. გ. **მუშიშვილის** შემწეობით დროებითმა სამაზრკომმა შეიძინა ბიურო, რომელიც დღეს სათანადოთ მოწყობილია. ბიურო ღიაა ყოველ დღე, სადაც მუშაობს ერთი პარტიული ამხანაგთანი ტეხნიკური მდივნის სახით.

აქ მოიპოვება ყველა რიგის გაზეთები—არის საკმაო მოოხოინიდია ჩვენი ორგანო „ტრიბუნასი“. ეს უკანასკნელი სისტიმატიურად ვრცელდება მაზრის ყველა ორგანიზაციებში.

თვალსაჩინო შედეგი მოგვცა სამაზრო კონფერენციის ნაყოფიერმა მუშაობამ. კოეფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუციები, რომელთა ცხოვრებაში გატარება უშუალოდ იყო დამოკიდებული ადგილობრივ ორგანიზაციებზე, ნაყოფიერად მიმდინარეობს.

აღსანიშნავია ის, რომ პარტ-მუშაობა არ განისაზღვრება მარტო პოლიტიკური მუშაობით, არამედ პრაქტიკულ ხასიათის საკითხებსაც ეთმობა საპატიო ადგილი.

ადგილობრივი ხელისუფლება ან კომპარტია სათანადო ანგარიშს უწევს ორგანიზაციების მუშაობას. ისინი უკვე ერკვევიან იმაში, რომ მემარცხენეები, რომელნიც დგანან წითელ დროშის ქვეშ, ხელს უწყობენ საბჭ. დიქტატურას მის განმტკიცება გაკაჟებაში.

სამაზრო კომიტეტი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს ორგანიზაციებს, ღებულობს უკანასკნელებისაგან ცნობებს, აძლევს მათ დარიგებს, დირექტივებს მუშაობის სისტემატიურად წარმოებაში და სხვა ასეთები.

დაარსებულია ძლიერი ახალ-გაზრდათა ორგანიზაციები ქ. ახალ-სენაში, ძონძირ-ისულის თემში და საგვაზაოში.

ამ ჟამად სენაკის მაზრაში სწარმოებს მემარჯვენე ფედერალისტების სალიკვიდაციოდ აგიტაცია—პროპაგანდა, რომლის საინიციატივო ბიურო არსებობს ქ. ახალ-სენაკში. სამაზრო კომიტეტი აქტიურ დახმარებას უწევს ყოველ მხრივ. ამ დღეებში მოწვეულ იქნება სამაზრო კონფერენცია.

**აკაკი ხუნწარია.**

---

**შენიშვნა:** მემარჯვენეთა კონფერენცია, როგორც მკითხველებმა იციან, მოწვეულ იქმნა ოქტ. 13-ს რომელმაც გააუქმა არალეგალური ორგანიზაციები მაზრის მაშტაბით

**რედ.**

---

**ქ. ხონი.** ხონის რაიკომის მუყაითი და ენერგიული მუშაობით უკვე ჩამოყალიბდა მისი რაიონში პარტ-უჯრედები. განსაკუთრებულ სიცოცხლეს და ენერგიას იჩენს მათხოჯის უჯრედი.

ხონის რაიკომს, მართალია, ცოტა მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, მაგრამ მისი პრეზიდიუმის წევრების ამხ. ერ. კვიცარიძის, ფ-ღავას და სხვათა დაუღალავი მუშაობით მედგრათ მიექანება პარტიული გემი იმ ნავთ-საყუდრისაკენ, რომელმაც უნდა იხსნას მშრომელთა მასსები მძაფრი „ტაიფუნი“ ს დაბერვისაგან—ე. ი. ბურჟუაზია—კაპიტალისტების კლანჭებისაგან.

ხონის პარტიული აპარატი უკვე ამუშავებულია, რომელსაც, ეჭვს გარეშეა, ქონებრივად და ზნეობრივად ეხმარება ქუთაისის სამაზრო კომიტეტი.

საწუხაროდ, არის ერთი დიდი დაბრკოლება: რაიკომს არ გააჩნია პარტიული ბიურო. ეს დიდად ხელს უშლის პარტ-მუშაობის ნორმალურად წარმოებას.

**გიორგი წიგწივაძე.**

---

ალიზმს მხოლოდ მაშინ შეუძლია კაპიტალიზმი მოსპოს და მისი ადგილი დაიკავოს, როცა იგი შესძლებს უფრო მწარმოებელი დარჩეს. მარქსისტული Zusammenbruchstheorie და Verelengstheorie ვერ გამოდგნენ დამაკმაყოფილებელი თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით. **კაპიტალიზმის განვითარება უფრო რთული გზებით იწარმოებს, ვიდრე ეს მარქსმა განსაზღვრა და დღეს ამხ. თედო ღლონტი აღიარებს**. მარქსის Zusammenbruchstheorie იყო შექმნილი ჰეგელის დიალექტიურ სქემის მოხედვით. მაგრამ ამ თეორიაში უფრო მეტი პატივისცემა იყო სოციალურ რევოლიუციის ფაქტებისადმი, ვიდრე ამას ლენინი სჩადის და **მისი დამცველი** ამხ. ღლონტი“.

ცოტა ქვევით ავტორი გულწრფელად აცხადებს: ამხ. ღლონტი „**თავის წიგნში იმის მტკიცებას მოუნდა, რომ ბოლშევიკები ქვეყნის მხსნელად დაესახა**“. (ხაზი ყველგან ჩვენია. გ. მ.).

სწამს „კრიტიკოსს“ ამხ. თედოს გულწრფელობა საქართველოს „ნეიტრალიტეტის“ საკითხში? რა თქმა უნდა არა. მან იცის, რომ წიგნის ავტორი „დიპლომატობს“, მისი სული და გული რუსეთის რევოლიუციისკენაა, რუსული ბოლშევიზმისაკენ. „წიგნის უკანასკნელი თავი—დასკვნა—მოულოდნელია“—ამბობს მოქ. ალ. მდივანი. ამხ. თედო „ვერ ბედავს სთქვას, რომ საქართველო აუცილებლად უნდა მიემხროს ბოლშევიკებს“—ო

ამხ. თედოსა და მოქ. მდივანს შორის ირკვევა განსხვავება პროგრამის გაგებაში. ჩვენ ვიდექით ბოლშევიკურ პლატფორმის ნიადაგზე, ოფიციალი სოციალ-ფედერალისტთა პარტია—მენშევიკურზე. „სააზიო პოლიტიკის“ მე—154 გვერდზე ამხ. თედო სწერს: „ჩვენს ქვეყანაში ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, ვქადაგებთ სოციალიზმის იდეებს, ვახდენთ ისტორიულ აწმყოს კვალიფიკაციას, როგორც გარდამავალ მომენტს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, ე. ი. დაახლოებით ვემხრობით იმ პოლიტიკას, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულია ბოლშევიკების მიერ „წესდების პროექტში“. ამ პრინციპების საფუძვლებზე ჩვენ მხურვალედ ვიცავთ მიწის სოციალიზაციას, ძლიერ ფართე მუნიციპალურ და საერობო სოციალიზმს, ფართე სახელმწიფოებრივ მონოპოლიას, კოოპერატივებს, აგრეთვე სოციალურ მუშათა კანონმდებლობას“.

მოქ. ალ. მდივანი პარტიის სახელით აცხადებს: „რასაკვირველია, ყველამ კარგად იცის, რომ სოც.-ფედ. პარტიას თავისი გარკვეული პროგრამა აქვს და ამ პროგრამის იმ გვარად განმარტება, როგორც ამას ამხ. ღლონტი სჩადის, შეუძლებელია“.

ჩვენ შეგვიძლია აქ წერტილი დავსვათ, საკუთარ ფაქტთა საწყობიდან ისტორიული დოკუმენტების გადმოლაგება საკმაოდ მივიჩნიოთ. უეჭველია, მრავალი მასალა დაგვრჩა დაუმუშავებელი, გაუშუქებელი. ისტორიულ არქივის მორევში ჩაყურყუმელავების არც დრო გვქონდა და არც ინტერესი. ეს რევოლიუციის ისტორიის მომავალ მკვლევართათვის მიგვინდვია.

რა დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ? ჩვენის რწმენით შემდეგი: მენშევიკური ჯგუფები ებრძოდენ ბოლშევიზმს, მაგრამ ჩვენ, ჩვენის მცირე ძალებით, ვიცავდით რუსეთის რევოლიუციის და ვახდენდით რუსულ ბოლშევიზმის პოპულიარიზაციას. მართალია, ჩვენი გამოსვლა არ იყო „გრანდიოზული“ ხასიათის, გადამწყვეტი მნიშვნელობის. მაგრამ ამაში დანაშაული სუბიექტიურად ჩვენ არ მიგვიძღვის. ჩვენი ჯგუფის პოლიტიკური ხაზი იყო ბოლშევიკური, კომუნისტური, ეს არა გუშინ და გუშინ-წინ, 1921—22 წ.წ., არამედ 1919—1920 წლებში. მართალია, ჩვენს წარსულ მუშაობას დეფექტები ახლავს, ამას არც ვმალავთ, არც ვფარავთ. ის ჯგუფი, რომელიც მომქმედია, ცოცხალია, მომუშავეა, უშვებს უნებლივ შეცდომებს. მაგრამ მთავარში, ძირითადში ჩვენ უკან დახევა არ მოგვიხდენია. საკუთარ ძალ-ღონით ავზიდეთ პროლეტარულ რევოლიუციის სამსხვერპლოზე „აზრის სიცხადე, ენერგიის სისრულე“, საკუთარი წვლილი.

რასაც ვამბობდით თეორიულად, განვახორციელეთ პრაქტიკულად. ჩვენ არ გავექეცით 25 თებერვალს. პირიქით, გულწრფელად და მხურვალედ შევუდექით საბჭოთა საქართველოს და საერთა-შორისო პროლეტარულ რევოლიუციის სამსახურს. აქაც არ დაგვიზოგავს ძალ-ღონე, უნარი, ხალისი.

დეე ისტორიის პირუთვნელობამ სთქვას უკანასკნელი ავტორიტეტული და მიუდგომელი სიტყვა. ჩვენ არ გვეშინია ისტორიის, ჩვენ ვეძებთ ისტორიის სამართალს.

**გ. მუშიშვილი.**

---

## მოხარშული ქალაქი.

ქვაფენილებზე ლანდი ეცემა.
ქარი მთვრალივით დაიარება.
ძლიერად რეკავს ეს მაჯისცემა
და შავი ბოლი დადის ქარებათ!
ეს დღე არავის არ ეცხელება,
ქალაქი დნება ცვცხლის კივილით...
ტრამვაი დადის, როგორც ცხელება
და ელექტრონის ქარია ირგვლივ!
საბრალო ქალი ქუჩაში სტირის.,
დადის კრებული ახალ ლანდების.
ისევ ელვარებს შორი ნაპირი
და შრიალია ჩუმი ფარდების.
და უცნაურად ელავს თვალები
ძიებით, შურით და ბოროტებით....
დაღლილი ცხენი მუდმივ წვალებით
მიქრის და მიქრის განმარტოებით.
ბაღებს კივილით მოედო ქარი,
სიზმრებში ტყდება და ილეწება!
დარბაზებს შიშით გააქვთ ზანზარი
და ფიქრი ცვივა სათუთ ლერწმებათ...
ქალაქი არ სწუხს ამ გაგიჟებით,
(ავია ძაღლი გამძღარი ლეშით)
დრო მოკვდა თავის უშნო შარჟებით
და ირგვლივ ორთქლის არის თარეში.
ძველი ფოთლები ცვივა კანკალით
და ორთქმავალი სხვა ხმაზე უსტვენს.
ჩუჩაში დადის ცეცხლის გრიგალი
და იქ როიალს არავინ უსმენს.
ხსოვნაში სძინავს ლურჯ საღამოებს,
დაღლილ ქალების ოხვრას და ტირილს;
ვინ შეაჩერებს დარხეულ დროებს,
უცნაურ ცხენებს ფაფარ გადაყრილს?
არ ეშინია უძილო თვალებს
ირგვლივ გადაშლილ უსაზღვრო სივრცის
ბედის ქარავანს ქარი აწვალებს
და დასასრული არავინ იცის.
სცურავს ჰაერში კუბოს ფიცრები
და ბალდახინი ყოველთვის კრული.
და ვეკითხები თავს განცვიფრებით:
მუდამ ერთ ხეზე რათ ვარ მიკრული?
ამ ჯანყს, ამ ღრუბლებს რა გადარეკავს...
ქარი ფართფატით დაიარება.
ო, მანქანების შრიალში რეკავს
შორეულ დღეთა აელვარება!
და ცხელი არის აქ ყველაფერი,
უსაზღვრო წყურვილს ოფლი ახელებს.
არ უყვარს ღამე და შავი ფერი
შეუსვენებელ ლითონის ხელებს!
მოდის საღამო. უცნაურ სენათ
თან მოდის ღამე და მწუხარება.
ქვაფენილებზე ლანდი ეცემა
და შავი ბოლი დადის ქარებათ...

**დავით კობიძე**

**დედაქალაქი.**

---

# კორესპონდენციები

**ერკეთის თემი.** (გურია) მშრომელთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ „ურწმუნო თომანიც“ კი რწმუნდებიან, თუ როგორ დაუზოგავ ენერგიულ ზომებს ხმარობს მშრომელთა ხელისუფლება საამშენებლო სფეროში საქართველოში და კერძოთ კი—გურიაში.

ვინც გულდასმით გადახედავს გურიის ამბებს და შეადარებს მას წარსულთან, მისთვის აშკარა იქნება ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ძარღვი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობისაკენაა მიმართული. ოზურგეთ-ნატანების რკინის გზა, რომელსაც მოკლე ხანში გამარჯვების გვირგვინი დაედგმება (რომლის გაყვანა განსვენებულ მთავრობათა სიტყვიერი სურვილი იყო), ჩოხატაურის ბუმბერაზი საივადმყოფოს შენება (რომელიც დაწყებული იყო 1914 წ. და „ღვთის ანაბარათ“ იყო მიტოვებული საბჭოთა ხელისუფლებამდი), საჭამია სერის შენობა, მრავალი სკოლების გახსნა მივარდნილ კუთხეებში, სარწყავი არხების გაყვანა, გზების გაყვანა-შეკეთება (ბახმარო, ტობახჩა), თითქმის ყველა თემებში კულტურულ შენობათა აგება და მრავალი სხვა. ყველა ეს ცოცხალი თვალსაჩინო ფაქტები იმის მაჩვენებელი და მლალადებელია, რომ გურიის მშრომელი გლეხობა ერთობ ჩაბმულია საამშენებლო საქმეში, რომლის ინიციატივის, მზრუნველობას, მფარველობას და დახმარებას, მშრომელთა დიქტატურა, საბსაბჭოთა ხელესუფლება ეწევა.

ძიახ! იშვიათია გურიაში ისეთი თემი, რომ იქ არ კეთდებოდეს რაიმე კულტურულ დაწესებულებისათვის შესაფერი შენობა; ამ მხრივად გურიის სხვა თემებს ერკეთის თემიც არ ჩამორჩება.

ერკეთი ცნობილია ... საზოგადოებისა, რომელიც შემდეგ რამოდენიმე თემებად გაიყო, (ბუ... ...) მაგრამ ერკეთს დღესაც აქვს თავისი ცენტრისებური ელვარება თავის ჩამონაყოფ თემთა შორის, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, რომელთაც, ეკონომიური თვალსაზრისით უხდება ყოველდღიური ცხოვრება ერკეთთან, ის გზა ჯვარედინზეა ორ თემთა შორის.

გურიაში თემთა ცენტრალიზაციის შემდეგ, დაუტოვებიათ რვა ადმინისტრატიული ერთეული, რომელიც დიდ უგერხულობას იწვევს კერძოთ ერკეთ-ხევის თემისათვის, რომელიც მიწერილია ჩოხატაურის ადმინისტრატიულ ერთეულზე.

ეს საკითხი დაისვა ჩოხატაურის რაიონულ კონფერენციაზედ, დაისმება მაზრაში და ვამედოვნებთ, რომ ცენტრი ერთგვარ გამოსავალს იპოვის, გამონახავს იმ უხერხულობის თავიდან ასაშორებლად, რათა რომელიმე სოფელი ადმინისტრატიულ ერთეულიდგან არ იქნას დაშორებული ოცდა ექვსი ვერსის მანძილით.

ერკეთში არსებობს კოოპერატივი, სამკითხველო, საფერშლო პუნქტი, თემის სამმართველო, ხუთიოდე კერძო სავაჭრო და 8 წლ. შრ. სკოლა, რომელიც გახსნა არსებულმა ხელისუფლებამ, რისთვისაც საზოგადოება ამ დაწესებულებისათვის აგებს შენობას სახალხო სახლთან ერთად, რომელსაც ახლო მომავალში რეალური ფრთები შეესხმება, გამარჯვებით დამთავრდება მთავრობისა და კერძო პირთა შემწეობით. შემწეობისათვინაც ულრმეს მადლობას უცხადებთ მთელი თემის სახელით შემდეგ პირებს: ჭიათურის საქველმოქმედო კომისიას: 1). ს. სიხარულიძეს, 2) მ. დარჩიას 3) თ. ჯაყელს. 4) ვ. აბესაძეს, 5) კ. გველესიანს 6). ცირეკიძეს და 7) აბაშიძეს, რომელთაც შემოგვწირეს 10 გირ. სტერლ. და რომელნიც დღესაც კრებენ შემოწირულებას ერკეთის კულტ. შენობათა ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად: 8) ლევ. ფირცხალავა—300 მილ. მან. 9) აკაკი და ილია სვანიშვილი 250 მილ. 10) ვას. ელიაძე—15 ოსმ. ლირა 11) სონა კობიძისა 10 ლირა, 12) ნოე. სიხარულიძე 50 მილ. 13) სერგო მგალობლიშვილი 50 მილ. 14) ... რემზი ასლან ზადე 100 მილ. 15) „ ... სინდიკატი“—25 მილ. 16) სალო მგალობლიშვილი 20 მილ. 17) არ. კობიძე 20 მილ. ტ. სიხარულიძე—20 მილ. 18) გ. ნაფეტვარიძე—20 მილ. 19) ი. კეკელიძე—15 მილ. 29) ბერიძე—15 მილ. 20) ა. ონიანი—10 მილ. 11) 22) ლ. მამალაძე 10 მილ. 23) ვ. ჩანტლაძე—10 მილ. 24) კ. შაქარიშვილი—10 მილ. 25) გერ. მგალობლიშვილი—10 მილ.

ერკეთის 8 წლ. შრ. სკოლისა და სახალხო სახლის საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე **ხევ. მინდაძე.**

---

## გადახრილი ხაზები

### შენ გიძღვნი, თენგიზ!

1.

შურისძიების სამსხვერპლოზე—
სიყვარულის ანაწური გაჩაღებს უხრლავ ცეცხლს.
ბედის ძახილი იქ მისწვდება შენს სმენას, ადამიანო,
და დალუპულის მოგონებაში ერთხელ კიდევ გაიღება სამოთხის კარი, სადაც უდიდეს წამების ალისფერ სუნთქვის ქვეშ იშლებიან შურისძიების სისხლიანი ყვავილები.
სასოწარკვეთილების ლოცვებში შენ მიიწევ სათაელის მოციქულს ნგრევის ნადიმზე, რომ ამაოების ტაძარში ქურუმად აღიკვეცო...
წყევის ანგელოსი არსებულის უარყოფის ამბორს დააფრქვევს შენს გაცრეცილ შუბლს და შურისძიების სამსხვერპლოდან ვნებიან ნაპერწკლებს ჩააბნევს შენს თმაში ..
— ღირს არს! ღირს არს! —დაიწივლებს აწმყო და საგანგებო ჯილდოთ შურისძიების მახვილს შეგთავაზებს.
შურისძიების სამსხვერპლოზე
ილმართავ სურვილების სვეტს, რომ მომავლის სახე ჩამოიტყუო.
მაშინ შეუდგები დაკარგულ წუთების ძებნას, რომ შენი უბედობის მიზეზი „ვინმეში“ აღმოაჩინო, დაროცა ძიების პროცესში გასცდები საკუთარი არსებობის საზღვრებს, შენივე სულის უგრძნო სხეულზე გაბრუებული დაეშვები...

2

აუ, წარსულო!—დამიბრუნე ძველი სიმშვიდე, ვერ ავიტანე, მოვიწამლე სევდიან თქმაში;
ის მზე ვერ დავსწვი და პოეტი იისეული ბედის ღიმილში ვნების კვნესით ჩავიფერფლები.
რათ?
მიბრუნებ მხოლოდ ჩონჩხებს მოგონებისას?
წაიღე, წადი!!
ეგ ხომ მტვერია და ხრწნის სუნი მიცვლილ დღეების?!
როდის ვითვლიდი ცხედრებს გზაში ეხლა ვითვალო?
როდის?
აწმყო—ხიდი წასსულსა და მომავლის შუა,
მე ჩავანგრიე!!
იწვის სოდომი!!
დაბრუნება აკრძალულია!!
იქ შორეულში მეგვიწოდებს ეპოქის სული...
(რ-ა-ი-ა, შეუწყი ამ სახელში რათ გადაგნათლე!)
და
თუ უცხო მზე მე ვერ დავსწვი ერთის შეხებით,
ისიც დიდია მზის ღიმილში რომ დავიწვები.

**კონ. გაჩეჩილაძე.**

# პატარა ფელეტონის მაგიერ

## პროვინციის რამე-რუმე

### მეგობრული ბარათები

### „რამე-რუმეს" მისამართით

წიგნი დავსწერე სახელმძღვანელოდ ვიაზრე მაგრამ ვინ გამოსცემს აი, გამოუცნობი ამოცანა!.. სახ. გამომცემლობაში გამოსაცემად გამზადებული წიგნები მილიარდჯერ გადამზადდა და კიდევ დალპება.

მწერს ერთი პედაგოგი...

—

— მე სასწავლებელში შესაყვანი შვილი მყავს მაგრამ ვგრძნობ მას ქართული ენის იმდენ ხანს სწავლა არაფრად საჭიროა რამდენხანსაც ჩვენს სკოლაში ასწავლიან მიმითითე ისეთ სკოლაზე, სადაც ბავშვს ძველებურად ასწავლიანო.

მწერს ერთი მშობელი..

— მე უპასუხე, ჯანდაბას წაიყვანე და შენ თან მიჰყევითქო!..

——

— ერთი კვირაა ვკითხულობ ჟურნალ „საქართველოს განათლების მუშაკს" და მისი ვერაფერი გავიგე, დიპლომი გაქვს, წაკითხვა ვიცი, ამიტომ გთხოვთ შრიფტს მის გასაღებად".

იწერება ერთი „განათლებული" კაცი.

——

— ჯიშიან ცხენების გამრავლებამ ლამის არის საქართველოს ყანწისტური კულტურა წალეკოს, თავბრუ გვესხმის, გულს გვერევა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერვინ მოგვერევა...

ჩივის ერთი ყანწაძე...

— შოთა დადიანი იყო თუ მაგიზის ალმსარებელიო, მწერს ლიტერატურის ერთი ენციკლოპედისტი".

ნორჩი პოეტი ი. ი. ი. ი. ი. ლ. ლ. ლ.

მე უპასუხე შოთა მგონი „ყანწელა" იყო თქო.

——

— ვალერი ჯვარელი იმერთ შალიაპინი დაგვპირდა გრანდ კონცერტი, ბილეთების საფასური წინდაწინ ავანსად მიიღო, მაგრამ კონცერტს „ქრისტეს მეორე მოსვლამდე" - სავით აყოვნებს..

ჩვენ კი ლოდინში გაგვინელდა ჯვარელ-შალიაპინის კონცერტის ცეცხლეული ინტერესი, ამიტომ ვსთხოვთ ჯვარელ-შალიაპინს გაგვანთავისუფლოს მის კონცერტისაგან, ხოლო ავანსად მიღებული ფული გერმანიის ხალხს გაუგზავნოს".

აცხადებენ ჯვარელ შალიაპინის კონცერტის ბილეთებით წინდაწინ დატვირთული მოქალაქენი...

—

— შენი ჭირამე გამიგე რას იღებს ჯამაგირად 10, 11, 12, 13, 14, 15 კატეგორიები მასწავლებელთა ფრონტზე, ან თუ რამე ისმის ჯამაგირის მომატების შესახებ.

მწერს ერთი მასწავლებელი X-ს უდაბნოდან.

— ცხოვრება ახლად იბადება, მთელ მსოფლიოში „ნოვატორობენ", „ჰაეროპლანობენ", „ელექტრობენ", „ავტომობილობენ". მე მომწყინდა ურმის კულტურა, ამიტომ წინადადებას ვიძლევი განათლების ფრონტზე გაშენდეს გიგანტი ჰაეროპლანი, რომელსაც სახელად დაერქვეს „ჰაეროპლან მასწავლებელი" აღტაცებით სწერს თავის ბარათში ყ ველის მასწავლებელი.

— ბარათები კვლავ ბლომად მიწყვია კოჭლ მაგიდაზე, მაგრამ დალამდა და სამტრედიის ელექტრონიც ჩაქრა, გარდა ამისა მე ძვირფასო მკითხველო un homme diplomate ვარ, არ გინდა ერთბაშად მოგაბეზრო თავი...

c'esta dire au revoir.

ევროპიელი.

# ხელოვნება

— **„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი".** გამოდის გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის 10 (მეათე) ნომერი. ჟურნალი იქნება დიდი ფორმატისა, დასურათებული და ეღირება მხოლოდ 500,000 მან. მკითხველებში გამოწვეული განსაკუთრებული ინტერესის გამო ეს № გამოვა 10,000 ეკზემპლიარი. №№—1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9—გაყიდულია.

— **ქართული აკადემიური დრამა.** ქართულ დრამას თვისი სეზონის გასახსნელად გ. ერისთავის ჩინებული კომედია „გაყრა" აურჩევია.

კარგის ნიშანია, როცა თეატრი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, გულისყურითა და პატივისცემით ეკიდება ტრადიციას. ასეთს თვისებას ქართული ხელოვნების სხვა დარგი, თუნდ მწერლობაც, ბოლო ხანებში მაინც, თვალსაჩინოდ მოკლებულია. ამიტომ ერთგვარის, საგანგებო—თუ გნებავსთ—საზეიმო გუნებით მივდიოდი 18 ოქტომბერს ქართულს თეატრში. ჩემს ხალისს ის გარემოებაც აორკეცებდა, რომ „გაყრა" კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობითა და რეჟისორობით იმართებოდა. ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება კი იმის მომასწავებელი იყო, რომ კ. მარჯანიშვილის თავისებური ნიჭი ისეთისავე მადლით გადაახალისებდა ამ, ათას-გზის დადგმილსა და ნახულს პიესას, როგორითაც გასულს სეზონში განაცხოველა ძველი ქართული თუ უცხოური პიესები მართლაც, მხოლოდ ასეთი მოლოდინი თუ მიიზიდავდა იმ აუარებელ საზოგადოებას, რომელიც „გაყრას" წარმოდგენას მიაწყდა.

ჩემთვის ეს მოლოდინი, სამწუხაროდ, მოლოდინადვე დარჩა და საზეიმო გუნება კი გულნაკლულობით შეიცვალა.

ქართველ მაყურებელთა თუ მსმენელთა დიდი უმრავლესობა ხომ „ძველი სკოლის" მსახიობებისა და რეჟისორების „გემოვნებაზეა" აღზრდილი! მაშ, რა უნდა შეჰმატოს ნიჭიერმა, ნოვატორმა—რეჟისორმა ისეთს პიესას, როგორიცაა გ. ერისთავის „გაყრა"? მხოლოდ ერთი რამ: ეპოქის სტილის ზედმიწევნითი თავისებური გაშუქება და ამით გამოწვეული ხალისი, ერთხელ კიდევ ზედმეტად ამ ეპოქისთვის თვალის გადავლებისა.

გამოტეხილი სჯობია: 18 ოქტომბრის წარმოდგენაზე „თავისებური გაშუქება" ეპოქისა იყო, ხოლო ზედმიწევნილობისა და ხალისისა კი—ნიშანწყალიც არა.

აიწია ფარდა თუ არა, სცენის კალოზე ისეთი ლრიანცელი შეიქნა, რომ ძალლი პატრონს ველარ იცნობდა. შეუტია დიდებულიძის მოურავმა ამ მოლრიანცელეთ (ხოლო მაყურებლისთვის გამოურკვეველი დარჩა, რატომ შეუტია მათ მოურავმა: იმიტომ, რომ ყურთა სმენა აღარ იყო, თუ იმიტომ, რომ მეკალოენი უქნარაობდნენ) და ამავე დროს სცენაზე გამობრძანდა—უკაცრაოდ პასუხია—საცვლების ამარა (!) თვით თავადი ბნდუყაფარ, რომელიც მღეროდა მაშინ, როცა ლაპარაკობდა და მაშინაც, როცა მღეროდა. თვით ერთ-ერთი მოხდენილი ტიპი პიესისა—ივანე, ჰამლეტს უფრო მოგვაგონებდა (გარეგნულადაც), ვიდრე გიქსუდულს ქართველ „რუსეთუმეს". ასეთს „თავისებურობას"-ზედ დაერთო კალოზე მოვლინება მღვდლისა გულზე ჯვრით (მაშინ მღვდლები არც ჩვენში და არც, მგონი, რუსეთში ჯვრებს არ ატარებდნენ. ჯვარი—ჯილდო ბოლო ხანების მოვლენაა) და ხელში კალათით, რითაც სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია მეკალოეთა შორის, რომელნიც თითქოს ეუბნებოდნენ ამ დაუპატიჟებელ ხუცესს: სად გაგონილა საქართველოში, რომ მღვდელი მემამულე თავადის კალოზე დაიარებოდა ხორაგის ასალებადო! ნამდვილად კი ეს იყო ერთგვარი ჟესტი რეჟისურისა—თუმცა კი უხეიროც. პირველი აქტი დასრულდა ეპოქის შეუფერებელის სასიყვარულო პაემნით მსახურ გაბრიელსა და ყადარ-შვერდის შორის, რომელთაც ლობის გადაღმ-გადმოღმიდან ერთმანეთის ჩაკონებით ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნეს, თითქოს ლობის მონგრევა სურდათო.

მეორე მოქმედება (მარანში) ჩინებული იქნებოდა, რომ... „თავისებურ გაშუქებას" აქაც არ გაეწყალებინა აღძრული ხალისი. მაგ., ყურძნის ნავი ანუ საწნახელი იმდენად პატარა იყო, რომ რვა კაცს დასჭირდა შიგ ჩასვლა საწურავად, (და ისიც ყველა ფეხგაუბანელი ჩახტა შიგ), რომელთა შორისაც ერთი წელ-ზევით სრულიად შიშველი იყო. (ჩვეულებრივად, მუშა მაშინ იხდის ხოლმე ზედატანის საცმელს, როცა მუშაობის პროცესში ან დასიცხავს ან ტანსაცმელი ხელს უშლის; დასახელებულს შემთხვევაში არც ერთს მოითხოვდა საქმის ვითარება და არც მეორეს) შემდეგ ეს შეუფერებელი სიმღერა წნეხვის დროს: „ნეტავი, გოგო, მე და შენ", რომელიც ყანის მუშაობას უფრო შეეფერებოდა.

მაგრამ კმარა ნაკლზე ლაპარაკი!

საკვირველია, ყველაზე უკეთესი ის მოქმედება იყო, სადაც ამ „თავისებურ გაშუქებას" ნაკლები სარბიელი ეძლევა თვით პიესის მიხედვით, მაგ., მეოთხე მოქმედება, ან კიდევ ივანესი და მიკირტუმ გასპარიჩის შეხვედრის სცენა, როცა „რუსეთუმე" თვისი მამულის რაციონალურად მოვლის შესახებ ოცნებობს.

რაც შეეხება როლების შესრულებას, ამ სპექტაკლმა განმიმტკიცა რწმენა, რომ ისეთს „მოყიჰებულ" პიესებში, როგორიც „გაყრაა", ისევ „ძველი სკოლის" მსახიობნი თუ მოგვანიჭებენ ჭეშმარიტს ხელოვნურ ტკბობას. ამისი ცოცხალი მოწმენი იყვნენ იმ საღამოს: გოცირიძე, ჯავახიშვილი, დავითაშვილი, კორიშელი.

მოქმედებას მოქმედებისაგან საზღვრავდა, შუალა რიცხვით, ოცი წუთის ანტრაქტი.

D'Ardy.

——

— **გაზ. „ხომლი".** რედაქციამ მიიღო სრ. საქ. მწერალთა კავშირის გაზეთი. ხომლი".

— **მწერალთა კონფერენცია.** შაბათს, საღამოს 6 საათზე, 27 ოქტომბერს მოხდება სრ. საქ. მწერალთა კონფერნცია.

**ლადო მესხიშვილის საღამო.** ლადო მესხიშვილის ასულის მსახიობ ბარბარე მესხიშვილის თაოსნობით ორშაბათს, 29 ოქტომბერს, რუსთველის თეატრში ლადო მესხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ გაიმართება დიდი საღამო. სხვათა შორის დ. არაყიშვილი ამ საღამოსათვის სწერს მუსიკას ი. გრიშაშვილის ლექსზე თვით ბაბო მესხიშვილი ამ საღამოს ითამაშებს ქართულად ერთ მოქმედებიან პიესაში. მთელი შემოსავალი გადაიდება ლადო მესხიშვილის ძეგლისთვის.

### სახალხო სახლის სეზონი

კვირას 21 ოქტომბერს ზეიმით გაიხსნა ტფ. სახალხო სახლის მიმდინარე წლის სეზონი. წარმოდგენილი იყო შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი" რეჟისორი ი. ბარველი.

**შოთა რუსთველის ახალი სურათი.** ცნობილი მხატვარი გ. გაბაშვილი ამ ჟამად ხატავს შოთა რუსთაველის სურათს მთელი ტანის სიდიდით. სურათი ეკუთვნის შოთას [illegible] სალიმში.

**„სპარტაკი",** [illegible] ქართ. რეჟისორებს წაუკითხა თავის ახალი 5 მოქმედებიანი პიესა: „სპარტაკი". პიესა დაიდგმის მიმდინარე სეზონში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

**სახალხო სახლის 30 წლ. იუბილე.** სახალხო სახლის ქართული დრამის გამგეობა უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას სახალხო წარმოდგენების 30 წ. იუბილეს მოსაწყობათ. დღესასწაული გაიმართება სახალხო სახლში ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

# წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ ჩემი უკანასკნელი პასუხი, საბავშო სახლის № 9 გამგის და მისი „ბანაკის" მსახურთა მიმართ.

თუმცა მათ ამომწურავი პასუხი გავეცი, გაზეთ „მუშის" საშვალებით (№ 268), და სრულიად აღარ ვფიქრობდი, გარეშე სასამართლოისა, (რომელიც ძლიერ სურს ქ-ბნ ქავთარაძეს), კიდევ რაიმე მეთქვა, მაგრამ გაზეთ „ტრიბუნის" № 600-ში გამოქვეყნებულმა ქავთარაძის პიროვნების „ქების ფურცლებმა" მაიძულა.

უნდა ითქვას რომ იგივე „ქების ფურცლები" მიუვიდა გაზეთ „მუშის" რედაქციასაც, მაგრამ იგი მან არ დაბეჭდა, რადგან ქავთარაძე იმავე გაზეთის 265 ნომრით სასამართლოს მოითხოვდა; მერმედ ვერც ერთი ეგ „ქების ფურცელი" ვერ აბათილებს იმ ბრალდებებს, რომელიც ჩემს მიერ იყო წამოყენებული „მუშის" 263 ნომერში.

მ. ქავთარაძევ! თქვენ ბავშების „ალმასკომის" საშვალებით გსურთ ფონს გაიყვანოთ თქვენი დანაშაული, მაგრამ იცით თუ არა „პედაგოგმა", რომ ამ გზით მას აორკეცებთ? ბავშთა საერთო კრების ან კომისიის ატესტაციას თქვენი პიროვნებისა რა ღირებულება აქვს?

შემდეგ პედაგოგიურია ის გარემოება, რომ მოწაფე—ბავში შარაშიძე თქვენი ყოველნაირი საიდუმლოების მონაწილეა? იგი სთხზავს თქვენის კარნახით, იგია კორესპოდენტი, იგივ დაატარებს მას რედაქციებში, მასვე დააქვს საჩივრები რომელთაც თქვენ მოსამსახურეებზე სთხზავთ. მასთან თათბირობთ ბავშისთვის მიუწდომელ საკითხებზე!

ისეთი დაწესებულების ხელმძღვანელობა, როგორიც თქვენ გაბარიათ, და მისი ავ კარგიანობის შეფასება საბავშო საქმე არ გახლავთ.

არც ჩემ მიერ წამოყენებული [illegible] საბავშო. ან თქვენ თვით უნდა დაარღვიოთ იგინი და სამართალში მისცეთ ცილის მწამებელი, ან დანაშაული უნდა აღიაროთ და მის გამოსწორებას შეუდგეთ.

რაც შეეხება ტეხნიკურ მოსამსახურეთა „პასუხს" მოგახსენებთ: ადგილის დაკარგვის „შიშმა შექმნა თქვენდამი სიყვარული" ზოგთათვის; ზოგმა კი ვერ გაუძლო თქვენს „რეჟიმს" და მიატოვა სამსახური. რად წავიდა მაჭავარიანი? რისთვის დასტოვა სამსახური სამნეო ნაწილის გამგემ? მაგრამ რამოდენიმედ მაინც შემსუბუქდა დანარჩენის მდგომარეობა.

ერთს მათგანს მიეცა თავისუფალი დღე, მეორეს კი თანაშემწე, „რეჟიმიც შემსუბუქდა ცოტათ თუ ბევრ ად.

ეს მოხდა გაზ. „მუშაში" გამოქვეყნებულ კორესპოდენციის შემდეგ.

ძროხების გაყიდვის ნებართვის უქონლობაზე არაფერი გვითქვამს; მხოლოდ როდესაც სახაზინო ან საზოგადოებრივი რაიმე იყიდება, უნდა იქმნეს შექმნილი მყიდველთა შეჯიბრება, ვინც უნდა იქმნეს მყიდველი, თუნდაც. თვით № 9 სახლი. ამ შემთხვევაში კი მყიდველი გახლდათ არა მომარაგების განყოფილება, როგორც თქვენა ბრძანებთ, არამედ მისი იჯარადარი—კერძო პიროვნება.

თუ რა ხელსაყრელად გაიყიდა იგინი ამას უფრო კომპეტენტური ორგანო გამოარკვევს.

გამვლელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** განათლების პროფკავშირის მიერ გაცემული 1/ წევრო წიგნაკი № 5058 სოფიო სვანიძის სახელზე და მოწაფის მუშვეშრომის სკოლიდან მიცემული [illegible] სოფიო სვანიძის სახელზე. ორივე დაკარგული დოკუმენტი ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1

# მატარებლის მიმოსვლის ნუსხა

| № და სახელწოდება მატარებლისა | ტფილისიდან გადის. | დანიშნულ ადგილზე მიდის | | № და სახელწოდ. მატარებლისა. | ტფილისში მოდის | დანიშნულ ადგილებიდან გამოდის. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჩქ. | 4.00 შაბ. | მოსკ. | 5-55 ოთხ | 2 ჩქ. | 3.30 სამშ. | მოსკ. | 1.00 პარ. |
| 1 ჩქ. | 4.00 სამ-შაბ. პარ. | პეტრ. | 12.00 კვ. ოთხშ. | 2 ჩქ. | 3.30 პარ.-ოთხშ. | პეტრ. | 9.30 კ. 3. |
| 3 სამგზ. | 11.35 | როსტ. | 6.00 | 4 საფ. | 6.35 | როსტ. | 10.30 |
| 7 სახ. | 10.10 | ბაქო. | 7.50 | 8 სახ. | 7.35 | ბაქოდან. | 9.40 |
| 21 საბ სახ. | 11.25 | ბაქო. | 8.10 | 22 საბ.-სახალ. | 2.50 | ბაქოდ. | 2.30 |
| 8 სახ. | 8.40 | ბათ. | 11.40 | 7 სახ. | 8 50 | ბათომ. | 5.00 |
| 4 საფ. | 12 00 | ბათ. | 5.40 | 3 საფ. | .10 | ბათ. | 10.30 |
| 22 საბ-სახ. | 12 20 | ბათ. | 3.25 | 21 საბ.-სახალ. | 4.20 | ბათ | 1.35 |
| 2 ჩქ. | 4 40 სამშ. | ბათ. | 6.40 ოთხ. | 1 ჩქარი. | 2.40 | ბათ. | 11.50 პარ. |
| 3 საფ. | 6.00 კენტ. დღ. | ერივ. | 6 00 ლუწი დღ. | 34 33 საბ.-სახალ. | 6.15 კ. დ. | ჯულფ. | 5.25 კ. დღ. |
| 31/32 საბარ.-სახ. | 11.00 ლუწი დღ. | ჯულფა. | 3 33 კენტი დღ. | 19 სახ. | 8.00 | ბორჯ. | 1.20 |
| 3/4 საფ. | 8.35 | თელავი. | 7.15 | 3/4 | 6.55 | თელავ. | 7 25 |

**შენიშვნა:** ღამის დრო ხაზ გასობილია.

**დამატება:** 1) ბორჯომიდან ბაკურიანში მატარებელი გადის: 12.15 8.00 და 4.80. უკანვე ბრუნდება 9.00 12.15 და 6.50.

2) სამტრედიიდან ფოთში მატ. გადის 8.30 და 9.25 უკანვე ბრუნდება: 4.50 და 4.34.

# სამგზავრო ბილეთების ფასი (ჩერვონცებში)

(მაგარ საწოლიან ვაგონებში).

| მატარებლების სახელი. | ტფილისიდან | ფასი. |
|---|---|---|
| ჩქარი | მოსკოვამდე | 18 მ. 42 კ. *). |
| " | პეტროგრადამდე | 22 მ. 20 კ. *). |
| " | როსტოვამდე | 12 მ. 96 კ. *). |
| " | ბაქომდე | 7 მ. 77 კ. |
| საბარგო სამგზავრო | ბაქომდე | 3 მ. 82 კ. |
| სამგზავრო | ბათომამდე | 5 მ. 65 კ. |
| " | ბათომამდე | 5 მ. 65 კ. |
| საბარგო სამგზავრო | ბათომამდე | 2 მ. 83 კ. |
| ჩქარი | ბათომამდე | 5 მ. 65 კ. |
| სამგზავრო | ერევანი | 5 მ. 95 კ. |
| საბარგო-სამგზ. | ჯულფამდე | 3 მ. 82 კ. |
| საფოსტო | თელავამდე | 2 მ. 91 კ. |
| სამგზავრო | ბორჯომამდე | 3 მ. 76 კ. |

*) ბილეთების გარდა სწრაფ მატარებლებზე მგზავრები იხდიან ბილეთის ფასის 25 პროც. სიჩქარისათვის და 25 პროც. პლაცკარტ. დასაწოლ ადგილისათვის.

იმ სამგზავრო მატარებლებში, რომლებშიაც დაწესებულია პლაცკარტის ფასი, ასეთს იხდევინებენ ბილეთის ფასის 10 პროც. საჯდომ ადგილისათვის და 25 პროც. საწოლისათვის.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 743 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ში, კრუზენშტეინ. ქ. № 4.